## საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია

# დეტალური ინფორმაცია ასოციაციის წევრობის და შეთავაზებების შესახებ

## წევრობის კატეგორიები და მათი უფლებები:

ასოციაციის წევრობა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

**საწევრო გადასახადი**

- წლიური საწევრო გადასახადი ინდივიდუალური პირებისთვის - 60 ლ.
- წლიური საწევრო გადასახადი იურიდიული პირებისთვის - 120 ლ.

**ნამდვილი წევრი** შეიძლება გახდეს ოსტატი (ფიზიკური პირი) ან ორგანიზაცია (იურიდიული პირი), რომელიც მოღვაწეობს ტრადიციული რეწვის სფეროში. ნამდვილ წევრს უფლება აქვს:

- აირჩიოს და იყოს არჩეული ასოციაციის მმართველ ორგანოებში,
- ასოციაციის საერთო კრებაზე განსახილველად წამოაყენოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები,
- მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში,
- ისარგებლოს ასოციაციის მიერ დადგენილი შეთავაზებებით;

**ასოცირებული წევრი** შეიძლება გახდეს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეუფლება ტრადიციული რეწვის ხელობას, ეწევა ტრადიციული რეწვის ნიმუშების რეალიზაციას, აწარმოებს ტრადიციული რეწვისათვის საჭირო ნედლეულს, ამ სფეროში ეწევა საგანმანათლებლო, კვლევით ან სხვა სახის მომიჯნავე საქმიანობას. ასოცირებულ წევრს უფლება აქვს:

- ასოციაციის საერთო კრებაზე განსახილველად წამოაყენს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები
- ისარგებლოს ასოციაციის მიერ დადგენილი შეთავაზებებით.

**ქომაგი** შეიძლება გახდეს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უშუალოდ არ არის ჩართული ტრადიციული რეწვის სფეროში ან მის მიმიჯნავე საქმიანობაში, თუმცა სურვილი აქვს იყოს ასოციაციის წევრი და ამ გზით იზრუნოს ქართული რეწვის ტრადიციების შენარჩუნებასა და დარგის განვითარებაზე. ქომაგს უფლება აქვს:

- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საერთო კრებაზე საკითხების განხილვაში
- ისარგებლოს ასოციაციის მიერ დადგენილი შეთავაზებებით;

## როგორ გავწევრიანდეთ ასოციაციაში?

- ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებმა უნდა შეავსონ სპეციალური ანკეტა და ასოციაციას მიაწოდონ ელექტრონული (ქვემოთ მითითებულ ელ-ფოსტაზე) ან ამობეჭდილი სახით;
- ასოციაციის წევრობის მსურველი იურიდიული პირებისთვის ანკეტას ავსებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან უფლებამოსილი პირი. პირის უფლებამოსილების დადასტურება ხდება წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.
- წევრად მიღების საკითხს გამგეობა წყვეტს განაცხადის შემოსვლიდან ერთი თვის ვადაში და აცნობებს განმცხადებელს, რის შემდეგაც განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს საწევრო გადასახადი.
- წევრობის გააქტიურება მოხდება საწევრო გადასახადის გადახდის მომენტიდან.
- ასოციაციაში გაწევრიანებით პირი ან ორგანიზაცია იმავდროულად ხდება შესაბამისი რეგიონული გილდიის წევრი.

## შეთავაზებების მიღების პირობები

ასოციაციის შეთავაზებებით სარგებლობა შესაძლებელი იქნება ქვემოთ ჩამოთვილი პირობებით.

**ინფორმაციული უზრუნველყოფა და თანამშრომლობის შესაძლებლობები:**

- ასოციაცია სფეროს სიახლეებზე, ტრეინინგებზე და საგრანტო კონკურსებზე, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებზე ინფორმაციას გაავრცელებს ვებ-გვერდის, კვარტალური ელექტრონული ჟურნალის და SMS შეტყობინებების მეშვეობით;
- ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საკომუნიკაციო შეხვედრებში მონაწილეობის შესაძლებლობაზე ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ვებ-გვერდის და SMS შეტყობინებების მეშვეობით, რის შემდეგაც მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ სასურველ ღონისძიებაზე (თემატიკიდან გამომდინარე).
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დასამყარებლად ასოციაცია საკუთარ წევრებს დაეხმარება კონტაქტების მოძიებასა და კომუნიკაციის წარმოებაში. საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციაში დახმარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული გეგმით (დრო და სიხშირე).

**პოპულარიზაცია**

- ასოციაციის მიერ ორგანიზებული კონფერენციების, გამოფენების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ვებ-გვერდის, კვარტალური ელექტრონული ჟურნალის და SMS შეტყობინებების მეშვეობით. ყოველწლიურ გამოფენაში, ისევე როგორც კონფერენციებში, მონაწილეობა შესაძლებელი იქნება გამოფენის/კონფერენციის ტიპიდან (თემატიკიდან) გამომდინარე წინასწარი შერჩევის საფუძველზე.
- ასოციაცია თავის წევრების საქმიანობის პოპულარიზაციას აწარმოებს ვებ-გვერდზე მათი პირადი პროფილების, საკონტაქტო ინფორმაციის და ნამუშევრების განთავსებით, სოციალურ ქსელებში მათი პირადი პროფილების, საკონტაქტო ინფორმაციის და ნამუშევრების სისტემატური გავრცელებით, ასევე, სატელევიზიო, რადიო გადაცემებისა და სხვა ბეჭდური მედია საშუალებების მეშვეობით (თემატიკიდან გამომდინარე).
- დამსახურებული წევრების სტატუსის ასამაღლებლად ასოციაცია ჩამოაყალიბებს სპეციალური წოდებების სისტემას, რომლებსაც მიანიჭებს სპეციალური საბჭო. ნომინაციების და მათი კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება ვებ-გვერდის, კვარტალური ელექტრონული ჟურნალის და SMS შეტყობინებების მეშვეობით.
- ასოციაცია ხელს შეუწყობს მისი წევრების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების პოპულარიზაციას ვებ-გვერდის და სოციალური ქსელების საშუალებით, რისთვისაც წევრმა ასოციაციას წინასწარ უნდა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ღონისძიების შესახებ.
- ასოციაციის ქომაგებს საშუალება ექნებათ სურვილის შემთხვევაში ასოციაციის ვებ-გვერდზე განათავსონ მათი სახელი, ლოგო, ბმული და ა.შ.

**ადვოკატირება**

- ტრადიციული რეწვის ოსტატთა ინტერესების დაცვისა და საკანონმდებლო გარემოს გასაუმჯობესებლად ასოციაცია სისტემატურ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს გამართავს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან. სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებთან შეხვედრის ორგანიზებისთვის ასოციაციის წევრებმა მათთვის პრობლემატური საკითხების შესახებ ინფორმაცია წინასწარ უნდა მიაწოდონ ასოციაციას, რომელიც გამოკვეთს პრიორიტეტებს და მოახდენს ყველაზე აქტუალური საკითხების ადვოკატირებას შესაბამის სტრუქტურებთან.

**მარკეტინგი**

- ასოციაცია ხელს შეუწყობს თავისი წევრების პროდუქციის მარკეტინგს მათი ნამუშევრების ფოტოგალერეისა და საკონტაქტო ინფორმაციიის განთავსებით გაყიდვების ერთიან პლატფორმაში. ასოციაცია სისტემატურად გაავრცელებს ინფორმაციას სოციალური ქსელების მეშვეობით.

- ასოციაცია მისი წევრების პორტფოლიოებს შესთავაზებს მაღაზიებს, კორპორატიულ კლიენტებსა და ტურისტულ კომპანიებს. ამ შეთავაზების მისაღებად აუცილებელია, რომ ასოციაციის წევრებმა დააკმაყოფილონ დამკვეთის მოთხოვნები და კრიტერიუმები.

**განათლება**

- ასოციაცია კავშირებს დაამყარებს ტრადიციული რეწვის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა საგანმანათლებლო ცენტრთან, ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის (წევრი სტუდენტების) და დამსახურებული ოსტატების ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- ასოციაცია ხელს შეუწყობს სახელოსნოების/საგანმანათლებლო ცენტრების განვითარებას.
- ასოციაცია ხელს შეუწობს ოსტატ-შეგირდთა ურთიერთობების განვითარებას, რისთვისაც მსურველებმა ინფორმაცია წინასწარ უნდა მიაწოდონ ასოციაციას. ინტერესთა თანხვედრის შემთხევაში ასოციაცია დაინტერესებულ პირებს შორის შუამავლის როლს შეასრულებს.

**კვლევა**

- ასოციაცია პერიოდულად აწარმოებს ტრადიციული რეწვის სფეროში სამეცნიერო და გამოყენებით კვლევებს, რაც ხელს შეუწყობს არსებული მდგომარეობის ანალიზსა და სამომავლო განვითარების სტრატეგიის შემუშავებას; კვლევების შედეგად გამოვლენილი სტატისტიკა გამოყენებულ იქნება სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრადიციული რეწვის სექტორის ინტერესების ადვოკატირებისთვის. კვლევები გამოავლენს მოთხოვნად პროდუქციას, რაც წევრებს დაეხმარება სამომავლო მარკეტინგის სტრატეგიის დასახვაში. კვლევები წარმოაჩენს ტრადიციული რეწვის საფრთხის წინაშე მყოფ დარგებს. კვლევების შედეგები გამოქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე.

**ტრეინინგი და კონსულტაცია**

- ქართული ტრადიციული რეწვის ნიმუშების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ასოციაცია წელიწადში ორჯერ გამართავს ტრეინინგებს (პროდუქციის განვითარება და სხვა აქტუალური საკითხები). ტრეინინგების ჩატარების დროისა და პროგრამის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება ვებ-გვერდის და SMS შეტყობინებების საშუალებით. ტრეინინგში მონაწილეობას მიიღებს პირველი 25 დარეგისტრირებული წევრი. მსურველთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში, შემდეგი ტრენინგი მიეძღვნება იგივე თემატიკას და დაგვიანებულთა რეგისტრაცია ავტომატურად გადავა შემდეგ ტრეინინგზე.
- ასოციაცია კვარტალურად გამართავს უფასო ჯგუფურ კონსულტაციებს პროდუქციის განვითარებაზე, შეფუთვაზე, საინფორმაციო მასალასა და სხვა საკითხებზე, რომელიც ჩატარდება ყოველი კვარტლის ბოლოს. მის შესახებ დეტალური ინფორმაცია გავრცელდება ვებ-გვერდის და SMS შეტყობინების საშუალებით. კონსულტაციის მისაღებად აუცილებელია წინასწარ ჩაწერა.
- ასოციაცია კვარტალურად გამართავს იურიდიულ და ფინანსურ ჯგუფურ კონსულტაციას, რომელიც ჩატარდება ყოველი კვარტლის ბოლოს. მის შესახებ დეტალური ინფორმაცია გავრცელდება ვებ-გვერდის და SMS შეტყობინებების საშუალებით. კონსულტაციის მისაღებად აუცილებელია წინასწარ ჩაწერა.
- ასოციაცია კვარტალურად გამართავს კონსულტაციას საზღვარგარეთ ნამუშევრების გატანასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე, რომელიც ჩატარდება ყოველი კვარტლის ბოლოს. კონსულტაციის მისაღებად აუცილებელია წინასწარ ჩაწერა.
- ასოციაცია წევრებს კვარტალურად გაუწევს ტექნიკური დახმარებას მასალების/იარაღების მოძიებაში, რომელიც ჩატარდება ყოველი კვარტლის ბოლოს. მომსახურების მისაღებად აუცილებელია წინასწარ ჩაწერა.
- წევრის ინდივიდუალური პროექტისთვის განაცხადის წერაში და ფონდების მოძიებაში კონსულტაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული გეგმით (დრო და სიხშირე).

## როგორ გადავიხადოთ საწევრო გადასახადი?

ასოციაციის საწევრო გადასახადის გადახდა წარმოებს წელიწადში ორჯერ, წლის ათვლა დაიწყება პირველი საწევრო გადასახადის გადახდის მომენტიდან. გადახდა შესაძლებელი იქნება საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით.

## ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ:

- ასოციაციის შეთავაზებების ზემოთ განსაზღვრულ გრაფიკზე უფრო ინტენსიური რეჟიმით მიღება შესაძლებელია ასოციაციის დამატებითი ფასიანი მომსახურებების პაკეტით სარგებლობისას. ასოციაციის ფასიანი მომსახურებების ღირებულება ინდივიდუალურად განისაზღვრება სამუშაოს მოცულობისა და ინტენსივობის მიხედვით.
- ორგანიზაციების შემთხვევაში ასოციაციის შეთავაზებებით ისარგებლებს ორგანიზაცია (სახელი, საკონტაქტო ინფორმაცია ა.შ) და არა ინდივიდუალურად მისი ცალკეული წევრი. ორგანიზაციების შემთხვევაში ტრეინინგებითა და კონსულტაციებით ერთჯერადად ისარგებლებს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. პირებს, რომლებიც წარმოადგენენ წევრ ორგანიზაციას და ამავდროულად სურთ, რომ ინდივიდუალურად ისარგებლონ ასოციაციის მომსახურებით, უფლება აქვთ პარალელურად გაწევრიანდნენ როგორც ინდივიდუალური პირები.
- ასოციაციის ბაზაში საკონტაქტო მონაცემების ცვლილებაზე ინფორმაციის მოწოდებაზე პასუხისმგებელობა ეკისრებათ ასოციაციის წევრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასოციაცია პასუხს არ აგებს სრულ ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე;
- იმ შემთხვევაში თუ ასოციაციის წევრები არ გამოხატავენ მზაობას ითანამშრომლონ ასოციაციის სამუშაო ჯგუფთან და გაითვალისწინონ ექსპერტების რეკომენდაციები პროდუქციის განვითარების მიმართულებით, ასოციაცია არ აიღებს პასუხისმგებლობას მათი პორტფოლიოების კორპორატიული კლიენტებისთვის, მაღაზიებისა და ტურისტული კომპანიებისთვის შეთავაზებაზე.
- ასოციაციის წევრი ვალდებულია ასოციაციის ხელშეწყობით წარმატებით განხორციელებული პროექტის ან გარიგების შესახებ აცნობოს ასოციაციას, მიღწეული შედეგების წარდგენისას მოიხსენიოს ასოციაციის სახელი და მოთხოვნის შემთხვევაში ასოციაციის საანგარიშო შეხვედრაზე წარმოადგინოს მოხსენება განხორციელებული სამუშაოების შესახებ.
- წევრობის ტიპის ცვლილება ხდება წევრის მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნების განხილვა ხდება საბჭოს მიერ კვარტალურად. ცვლილება განხორციელდება მხოლოდ მოთხოვნილი წევრობის ტიპის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
- ასოციაციის წევრს შეიძლება წევრობა შეუწყდეს:
  **ა.** საკუთარი განცხადების საფუძველზე;
  **ბ.** წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
  **გ.** საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში: საწევროს დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში ასოციაციის წევრს შეუწყდება ინფორმაციული უზრუნველყოფა და სხვა შეთავაზებები, თუმცა ექვსი თვის მანძილზე მას შეუნარჩუნდება ასოციაციის წევრის სტატუსი. ექვსი თვის გადაუხდელობის შემთხვევაში ასოციაციის წევრს შეუწყდება წევრობა.
  **დ.** ასოციაციის ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში.
- ასოციაცია უფლებას იტოვებს შეცვალოს წევრობის პირობები, რის შესახებაც ასოციაციის წევრებს წინასწარ ეცნობებათ. ცვლილებები ძალაში შევა ასოციაციის მომდევნო საწევრო გადასახადის გადახდის მომენტიდან;

# DETAILED INFORMATION ON ASSOCIATION BENEFITS AND REGULATIONS

## MEMBERSHIP CATEGORIES AND THEIR RIGHTS

Association membership is open both to individuals (physical bodies) and organizations (legal bodies).

**MEMBERSHIP FEE**

- Annual membership fee for individuals – 60 Gel
- Annual membership fee for organizations – 120 Gel

**FULL MEMBERS** of the Association could be craft makers (physical bodies) or organizations (legal bodies), which are directly involved in the production of traditional crafts.

Full members have the right:

- To elect or be elected in the board of the association
- To propose topics for discussions on the annual general meeting of the association
- To participate in the board elections
- To benefit from association offers

**ASSOCIATE MEMBERS** could be physical bodies or legal bodies, which are engaged in the educational processes, in marketing, production of raw materials or other affiliated activities.

- To propose topics for discussions on the annual general meeting of the association
- To benefit from association offers

**ASSOCIATION FRIENDS** can be physical or legal bodies, which are not directly involved in traditional craft making, though have willingness to support the sustainability of Georgian craft traditions and as well as their further development.

Friends have right:

- To participate in discussions at the annual general meeting of the association
- To benefit from association offers

## HOW TO GET ASSOCIATION MEMBERSHIP?

- Individuals or organizations willing to get association membership are invited to fill in the special application form and send it to the indicated e-mail or deliver the hard copy to the indicated address.

- In case of organizations the application form should be filled in by the head of the organization or the authorized person (based on the letter of authorization).
- The decision and notification about the acceptance made by the association board will be issued within one month. After the acceptance notification the applicant is required to pay the membership fee.
- The member status will be activated immediately after the payment of the membership fee.

## TERMS AND CONDITIONS FOR ASSOCIATION BENEFITS

### INFORMATIONAL COVERAGE AND NETWORKING OPPORTUNITIES:

- The association will provide news update, information about craft related trainings and grant calls, local and international exhibitions, fairs through the web-site, quarterly online magazine and SMS text massages.
- The information about the networking sessions organized by the association will be spread amongst the members through the web-site and SMS text massages. The participants are required to register to the event in advance.
- The association will provide support to enhance international relations and help its members to get integrated into the worldwide craft community. The association will provide help in communication with international partners in case of prior planned and agreed schedule and intensity of work.

### PROMOTION

- The information about the annual conferences, exhibitions and other initiatives launched by the association for promotional purposes will be disseminated through the web-site, quarterly online magazine and SMS text massages. The participants will be selected based on their relevance to the theme of the event.
- The association will systematically disseminate the information about the association members (their individual profiles and contact information) through the website, social networks, TV, radio broadcasting and other media outreach (based on their relevance to the given theme).
- In order to raise the status of heritage craft producers among wider audiences the association will elaborate special awards and prizes, which will be given by the special board. The information on the nominations and selection criteria's will be disseminated through the web-site, quarterly online magazine and SMS text massages.
- The association will promote the events and project initiated and accomplished by its members through the web-site and social networks. The members are required to send the information about their events in advance to enable the dissemination of information.
- Association supporters will have the possibility to post their logos, links, banners, etc. on the association supporters' page on the website.

### ADVOCACY

- In order to advocate the interests of heritage crafts actors among the decision makers at different level, the association will provide systematic meetings with different state bodies. The association members should inform the association about their needs and constrains in advance. This will help the association to prioritize most significant issues and plan further advocacy activities with relevant state bodies.

**MARKETING**

- The association will support its members through publishing member's individual profiles and contact information through social networks and on the association web-site, which will be used as a marketing platform.
- The association will offer member's portfolios to different corporate clients and tourist companies. The member portfolios should comply with certain criteria and the requirements of corporate clients to be included in association offer package.

**EDUCATION**

- The association will support apprenticeship and co¬operation amongst formal and infor-mal training units, enhancing links between young members and master craftsman. In order to get involved in the particular program association members should inform the administration about their needs and capacity. In case of matching of interests the association will mediate between master craftsmen and the apprentices.
- The association will support crafts skill development through boosting educational cen-ters and workshops.

**RESEARCH**

- The association will carry out the academic and applied scientific studies to identify existing needs and elaborate further development strategies. The statistic data derived from the particular studies will be used in the advocacy campaign amongst state bodies. The research will reveal the top demanded products on the market, which in turn will help the members to refine their marketing strategies and develop new product lines. The studies will help to reveal the endangered fields of Heritage Crafts in Georgia. The research results will be published on the association web-site.

**TRAINING AND CONSULTATIONS**

- In order to boost the competitiveness of Georgian Craft products on local and International markets the association will provide trainings (twice in a year) on product development and other important issues. The information about the training agenda will be disseminated through the web-site and SMS text massages. The association will accept first 25 participants registered for the training. In case of large number of applicants the next training will be dedicated to the same subject and those late registered will be automatically considered as participants.
- The association will provide free consultations in product development, packaging, informational tags, and other relevant issues. The consultation will be provided at the end of each quarter. The information about the upcoming consultations will be disseminated through the web-site and SMS text messages. Prior Registration for the consultation is required.
- The association will provide free consultations in legal and financial issues. The consultation will be provided at the end of each quarter. Prior Registration for the consultation is required
- The association will provide free consultations in export regulations and requirements. The consultation will be provided at the end of each quarter. Prior Registration for the consultation is required.
- The association will provide free technical assistance in purchasing materials/tools. The consultation will be provided at the end of each quarter. Prior Registration for the consultation is required.
- The association will support members in fundraising. The support in individual proposal development will be only possible in case of prior planned and agreed schedule and frequency.

## HOW TO BECOME THE ASSOCIATION MEMBER?

Payment of association membership fee is due every six month. The membership year starts from the first payment of membership fee. The fee should be transferred to the association bank account.

## NOTES

- Association offers the package of paid services for those members, which are willing to get more benefits from the association than indicted in the terms and conditions. The payment will be determined individually based on the intensity of work.
- In case of member organizations, Association's member status and benefits will be offered to the organization, rather than its individual members. Only one representative per member organization will be accepted per each training or consultation, offered by the association. Individuals, who represent the member organization, though are keen to benefit from association offers individually, can simultaneously become association's individual members.
- Members are required to notify the administration about the change of their contact information, otherwise association cannot guarantee informational coverage and promotional services.
- In case if the association members refuse to cooperate with the GHCA team and are not willing to accept experts' recommendations, the association cannot guarantee to include their works in association's offer package for corporate clients.
- Association member is required to notify the GHCA about the successful business deal or cooperation made possible through the help of association and should mention GHCA input during the presentation of results. In case of demand from the association the member should present the results on the association annual meeting.
- The change of membership categories will be possible based on the member request. The member requests will be reviewed by the board quarterly. The request on the change of membership category will be approved in case if the requirements for requested membership category are met.
- Termination of the association membership will take place in case of:

  **A.** Member's own statement

  **B.** Liquidation of member legal entities

  **C.** Non-payment of membership fee. In case of non-payment of membership fee the news update and other benefits of the association will be terminated. During next six months the member will still maintain the status of association member. After six months of non-payment the member status will be terminated.

  **D.** Violation of Code of Ethics

The association leaves the right to change the membership terms and conditions. The notification about the change will be prior disseminated among the members. The changes will activate after the next payment of association membership fee.

# ასოციაციის ეთიკის კოდექსი

ტრადიციული რეწვის ასოციაციის ეთიკის კოდექსი აერთიანებს ფასეულობებს, პრინციპებს და სტანდარტებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ორგანიზაციამ და მისმა თითოეულმა წევრმა ტრადიციული რეწვის სფეროში საქმიანობის წარმართვისას.

ტრადიციული რეწვის ასოციაციის ეთიკის კოდექსი ეფუძნება სამართლიანი ვაჭრობის, ჯანსაღი კონკურენციის, თანამშრომლობის პრინციპებს. მათი გატარებით ასოციაცია ხელს შეუწყობს სექტორში მოღვაწე ოსტატებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობას და კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ასოციაციაში გაწევრიანებასთან ერთად წევრები ავტომატურად იღებენ ვალდებულებას შემდეგზე:

- მოუფრთხილდნენ და შეძლებისდაგვარად დაიცვან ქართული რეწვის ტრადიციები;
- კოლეგების, საზოგადოების სხვა წარმომადგენლების, ასევე ნამუშევრების შემფასებლების მიმართ იყვნენ კორექტულები და კოლეგიალურები;
- დაიცვან ტრადიციული რეწვის ასოციაციის ავტორიტეტი და საქმიანი რეპუტაცია;
- ყოველთვის და სრულად დაიცვან სხვა ავტორთა საავტორო და მომიჯნავე უფლებები;
- მომხმარებელს მიაწოდონ უტყუარი ინფორმაცია საკუთარ ნამუშევრებზე (გამოყენებულ მასალებსა და ტექნოლოგიებზე);
- ბიზნეს ურთიერთობების წარმოებისას დაეფუძნონ კეთილსინდისიერებას;

# CODE OF ETHICS

Georgian Heritage Crafts Association's code of ethics unites shared values and standards, which are the guiding principles for the conduct of individuals and the entire organization.

The code of ethics is based on principals of fair trade, healthy competition and cooperation. By embodying these values the Association supports the cooperation and collegial relationships among member individuals and organizations.

By joining the Association the members agree to adhere to the following:

- To safeguard and maintain Georgian Heritage Crafts Traditions
- To be collegial and correct with colleagues, judges or other representatives of the society
- To build and maintain Association's reputation
- To respect and protect other authors' intellectual property and related rights
- To encourage consumer confidence in the authenticity of information about their work, materials and technologies.
- To abide by ethical business conduct and honesty while running their business activities.